საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ალტერნატიული მოსაზრებები

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე

35403/06

-

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ

მაისი, 2021

შინაარსი

1. შესავალი 4

2. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების მოკლე მიმოხილვა 5

3. მინისტრთა კომიტეტის 2019 და 2020 წლების გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა 5

4. ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შესახებ 7

5. ზოგადი ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები 7

5.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატთან დაკავშირებული ხარვეზები 8

5.1.1 მაღალი რანგის სახელმწიფო წარმომადგენლებზე იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების არქონა 9

5.1.2 საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები ... 10

5.1.3 პროკურატურის მიერ სრული კონტროლის შენარჩუნება საგამოძიებო პროცესზე და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება 11

5.1.5 პენიტენციურ დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაუბრკოლებლად შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები 14

5.2 არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები **14**

5.2.1. სისხლის სამართლის საქმეების არასწორი კვალიფიკაციით წარმოება 16

5.2.2 არსებულ იერარქიულ და ინსტიტუციურ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები - საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება 17

5.2.3 სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის ეფექტიან მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები 19

5.2.3.1 დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ხარვეზები 20

5.2.3.2 დაზარალებულის მიერ გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესახებ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარვეზები 21

5.2.3.3 სისხლის სამართალწარმოების შესახებ დაზარალებულის ინფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზი 23

5.2.3.4 იურიდიული დახმარებას გაწევა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის 24

5.3 სამართალდამცავი უწყებისა და მოქალაქის/დაკავებული პირის კომუნიკაციის აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზები 24
5.4. პოლიციის განყოფილებებში დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები 26
5.5. საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების შესახებ არსებული ხარვეზები 27
5.6. კრიმინალური სუბკულტურის არსებობა პენიტენციურ დაწესებულებებში........27
5.7 ამნისტიის/შეწყალების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულების დროს 32
5.8. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებამოსილების შეზღუდვა 37
6. რეკომენდაციები ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მიზნებისთვის.................... 38

1. შესავალი

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია, რომელიც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად არის აღიარებული, მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.[1] თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები რეალური, ხელშესახები შედეგის მომტანი, მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი ეროვნულ დონეზე სახელმწიფო მათ ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფს და, ამ მიზნით, მისთვის დაკისრებულ ინდივიდუალურ და ზოგად ღონისძიებებს გაატარებს.

2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (შემდგომში - საია) შემუშავებული წინამდებარე ალტერნატიული მოსაზრებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება. აღნიშნულ დოკუმენტში საია აფასებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილებების/განჩინებების გამოტანიდან დღემდე მათი აღსრულების მიზნით გატარებულ ზოგად ღონისძიებებს და დამატებით, მიუთითებს იმ ზოგად ზომებზე, რომელთა გატარებაც, აუცილებელია გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ეფექტიანად აღსასრულებლად.

3. ამ მიზნით, წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2020 და 2019 წლის გადაწყვეტილებებს, მთავრობის მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს, და გამოკვეთს აღსრულების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით კი, შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს. დამატებით, აღსანიშნავია, რომ საია ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ეფექტიანი აღსრულების საჭიროების შესახებ საქართველოს პარლამენტის წინაშე 2019 და 2020 წელს წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშებშიც საუბრობდა.[2]

---

[1] იხ. მრავალ სხვათა შორის: *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)*, no. 15318/89, 23.03.1995, პარ 75;

[2] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე 2019 წელს წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის (1-6104/19/9; 27.03.2019) ანგარიშზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina, [24.04.2021]; იხ. ასევე, საიას 2020 წლის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშზე, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-strasburgis-sasamartlos-saqmeebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishebit-mimarta, [24.04.2021];

2. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების მოკლე მიმოხილვა

4. 2008 წლიდან დღემდე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე[3] საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების და განჩინებების აღსრულების პროცესს ზედამხედველობს. ცინცაბაძის ჯგუფი აერთიანებს 22 საქმეს, რომლებზეც სიცოცხლის უფლების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის დარღვევა დადგინდა. კერძოდ, გადაწყვეტილებები/განჩინებები შეეხება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალური ასპექტის დარღვევას 1999-2011 წლებში, ხოლო ამავე მუხლების პროცედურული ასპექტის დარღვევას 1999-2020 წლებში. დარღვევები გამოიხატა საპოლიციო ოპერაციების დროს პირის მკვლელობაში;[4] პირების დაკავებისას გადამეტებული საპოლიციო ძალის გამოყენებაში, სამართალდამცავთა მიერ დაკავებულ პირებთან მიმართებით არასათანადო მოპყრობასა ან წამებაში; და, ასევე, არაეფექტიან გამოძიებაში შემდეგ შემთხვევებზე: ციხეში გარდაცვალება;[5] გარდაცვალება, რომელიც მოჰყვა შსს წარმომადგენელთა მიერ პირის გატაცებასა და მის მიმართ ძალის გამოყენებას;[6] საპოლიციო ოპერაციისას პირის დაცხრილვას;[7] და, სიცოცხლის უფლებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სხვა დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებს შეერაცხებათ.

3. მინისტრთა კომიტეტის 2019 და 2020 წლების გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა

5. მინისტრთა კომიტეტმა ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები ბოლოს 2019 წლის 3-5 დეკემბერსა და 2020 წლის 1-3 დეკემბერს განიხილა.[8] კომიტეტი ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულების საკითხის განხილვას 2022 წლის მარტში დაუბრუნდება.[9]

6. 2019 წლის 3-5 დეკემბერს აღნიშნული საქმეების განხილვისას კომიტეტმა მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი არის ვიწრო და გამორიცხავს მაღალი რანგის (პოლიტიკური საფეხურის) სახელმწიფოს წარმომადგენლებზე იურისდიქციის გავრცელებას.

---

[3] ყოფილი „ღარიბაშვილის ჯგუფის" საქმეები;

[4] *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia),* no. 50375/07, 18.07.2019;

[5] იხ. მაგალითად *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia),* no. 35403/06, 15.02.2011;

[6] *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia),* no. 25091/07, 26.04.2011;

[7] *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia),* no. 50375/07, 18.07.2019;

[8] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH)/ ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-10E [19.04.2021];

[9] იქვე;

ამასთან, კომიტეტის განმარტებით, პროკურატურის ოფისი ინარჩუნებს სრულ კონტროლს გამოძიების წარმოებაზე. შესაბამისად, არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად კომიტეტმა საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების მიღებისკენ მოუწოდა. კომიტეტმა, ასევე, აღნიშნა, რომ პრაქტიკაში გარკვეული ხარვეზები რჩებოდა არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში დაწყებული გამოძიების არასწორ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და ხელისუფლებას ამ პრაქტიკის აღმოფხვრისკენ მოუწოდა.[10]

7. რაც შეეხება 2020 წლის 1-3 დეკემბრის განხილვას, მინისტრთა კომიტეტმა კვლავ შეაფასა ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულების მიმდინარეობა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებთან დაკავშირებით, რამდენიმე პოზიტიურ ცვლილებასთან ერთად, ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს, რომლებიც კვლავ მოუგვარებელია.[11] კერძოდ, მათ შორის, კომიტეტმა ხაზი გაუსვა, არაადამიანური მოპყრობის დანაშაულების არასწორი კვალიფიკაციას, არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევაში კი დაზარალებულთა მიერ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობას, რიგ შემთხვევებში გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის გასაჩივრების მექანიზმის არარსებობას.

8. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატთან დაკავშირებით კომიტეტმა სახელმწიფოს ისევ მოუწოდა, რომ გააგრძელოს კომიტეტის ინფორმირება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით კი, საკანონმდებლო ან სხვა სახის ცვლილებების შესახებ.[12]

9. აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კომიტეტმა ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებში შემავალ საქმეზე: ***ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ,*** მიიღო გადაწყვეტილება, დახუროს ინდივიდუალური ღონისძიების აღსრულების ზედამხედველობის პროცესი.[13] მინისტრთა კომიტეტმა სინანულით აღნიშნა, რომ შემდგომი ინდივიდუალური ზომების მიღება შეუძლებელია 2012 წელს მიღებული ამნისტიის კანონისა და დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ საბოლოო განაჩენებით მცირე სასჯელების დაკისრების გამო. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ხარვეზების გამო, გააგრძელოს

[10] CM/Notes/1362/H46-8, 1362nd meeting, 3-5 December 2019 (DH), H46-8 *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), Supervision of the execution of the European Court's judgments, 05.12.2019, ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Notes/1362/H46-8E, [19.04.2021];

[11] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH), *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-10E [19.04.2021];

[12] იქვე;

[13] Resolution CM/ResDH(2020)358, (Adopted by the Committee of Ministers on 3 December 2020 at the 1390th meeting of the Ministers' Deputies), ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a096a9, [27.04.2021].

გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მონიტორინგი ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ფარგლებში. შესაბამისად, ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ საქმის ინდივიდუალური ღონისძიების ნაწილში დახურვა არ ახდენს გავლენას მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებაზე, ზედამხედველობა გაუწიოს ამ საქმისგან მომდინარე ზოგადი ღონისძიებების აღსრულების პროცესს.[14]

4. ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შესახებ

10. 2018,[15] 2019[16] და 2020[17] წლებში მინისტრთა კომიტეტის, 2020 წელსა[18] და 2021 წელს[19] პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშებში სახელმწიფო იმ აქტივობებს აღწერს, რომლებიც ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში გატარდა. სახელმწიფო რამდენიმე მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, ეროვნულ სტრატეგიებსა და სამთავრობო სამოქმედო გეგმებზე, რომლებშიც წამების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს; საგამოძიებო ორგანოების საქმიანობასა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ასევე, განხორციელებულ ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებზე.

5. ზოგადი ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

11. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებებისა, რომლებიც მისასალმებელია, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებით იკვეთება მთელი რიგი ხარვეზები, რომელთა უგულვებელყოფაც

---

[14] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH), *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-10E [19.04.2021];

[15] Communication from Georgia concerning the case of *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06, 08.08.2018, ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2018)767E, [19.04.2021];

[16] Communication from Georgia concerning the case of Tsintsabadze v. Georgia (Application No. 35403/06), 25.10.2019, ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2019)1282E,[19.04.2021], [27.04.2021];

[17] Communication from Georgia concerning the case of *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), 16.10.2020, ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)899E, [27.04.2021];

[18] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), 29-40, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/20249, [19.04.2021];

[19] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), 38-53, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/21857, [19.04.2021];

აღნიშნული საქმეების ეფექტიან აღსრულებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. კერძოდ:

I. **<u>კვლავ გამოწვევად რჩება</u>** დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის მანდატთან დაკავშირებული ხარვეზები მისი ეფექტიანი და რეალურად დამოუკიდებელი საქმიანობის გარანტირების თვალსაზრისით. გარდა ამისა, პრობლემურია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სამართლებრივი მოცემულობა, რომელიც არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიან, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად მიუკერძოებელ გამოძიებას აბრკოლებს. კვლავ გამოწვევად რჩება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაზარალებულის უფლებებს უკავშირდება.

II. **<u>კვლავ შეშფოთებას იწვევს</u>** საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა და დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ მათი არაფორმალური მმართველობისთვის გამოყენება/ხელშეწყობა. აღნიშნული ძირს უთხრის როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, ისე მომეტებული საფრთხის წინაშე აყენებს პენიტენციურ დაწესებულებაში იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც კრიმინალური სუბკულტურის ნაწილი არ არიან.

III. **<u>პრობლემურია</u>**, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ გამორიცხავს სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, კონვენციური განმარტებით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულებში პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის და შეწყალების გამოყენებას.

12. ჩამოთვლილი ხარვეზები ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული და ამავდროულად, შემოთავაზებული იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს და გაატაროს ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ეფექტიანად და სრულყოფილად აღსრულების მიზნებისთვის.

5.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატთან დაკავშირებული ხარვეზები

13. საია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად წლების განმავლობაში მოითხოვდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რომელიც სწორედ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს გამოიძიებდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა და მისი საგამოძიებო ქვემდებარეობის ამოქმედება წინგადადგმული ნაბიჯია, ამ მექანიზმს რამდენიმე საკვანძო პრობლემა ახასიათებს, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მექანიზმის ეფექტიანობას. კერძოდ:

I. მაღალი რანგის სახელმწიფო წარმომადგენლებზე იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების არქონა;
II. საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;
III. პროკურატურის მიერ სრული კონტროლის შენარჩუნება საგამოძიებო პროცესზე და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება;
IV. დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიაზე გამოძიების წარმოების უფლებამოსილების არქონა;
V. პენიტენციურ დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაუბრკოლებლად შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები;

14. <u>ხაზგასასმელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებზე, ასევე, საუბრობს თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში,</u> და, მიმოიხილავს იმ საკანონმდებლო გამოწვევებს, რომლებიც ინსპექტორის სამსახურს დაბრკოლებებს უქმნის ეფექტიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების თვალსაზრისით.[20] ქვემოთ თითოეული გამოწვევა დეტალურად იქნება განხილული.

5.1.1 მაღალი რანგის სახელმწიფო წარმომადგენლებზე იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების არქონა

15. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორი **მოკლებულია შესაძლებლობას,** გამოიძიოს:[21]

- საქართველოს გენერალური პროკურორის;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის პროკურორის;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულები.

16. იმ პირობებში, როდესაც ხშირ შემთხვევაში სწორედ მაღალი თანამდებობის პირთა ქმედებები თუ გადაწყვეტილებები განაპირობებს და განსაზღვრავს ქვემდგომი პირების მოქმედებების კანონიერებას, არანაკლები მნიშვნელობისაა მაღალი რგოლის წარმომადგენლების ქმედებების დამოუკიდებლად და ობიექტურად

[20] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, 187-194, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/272657?, [27.04.2021];

[21] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.1.“თ“, თავი V, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5, [19.04.2021];

გამოძიება. ამის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელი და ალოგიკურია ამ პირთა გამორიცხვა სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახურის მანდატიდან. ინსპექტორის სამსახურის ვიწრო უფლებამოსილებებს ხაზს უსვამს საქართველოს სახალხო დამცველი,[22] არასამთავრობო[23] და საერთაშორისო ორგანიზაციები.[24]

17. სახელმწიფო ინსპექტორის მანდატის ვიწრო უფლებამოსილებები მინისტრთა კომიტეტმაც გააკრიტიკა 2019 წლის 3-5 დეკემბერს გამართულ სესიაზე. 2020 წლის 1-3 დეკემბრის სესიაზე, კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატთან დაკავშირებით კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, რომ გააგრძელოს კომიტეტის ინფორმირება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ. ამასთან, კომიტეტმა მოითხოვა, სახელმწიფომ გააგრძელოს ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით მუშაობა.[25]

5.1.2 საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები

18. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად სხვა საგამოძიებო ორგანოს გადასცეს. ეს წესი ვრცელდება, ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობაზე მიკუთვნებულ დანაშაულებზე. შესაბამისად, შესაძლოა, კონკრეტული დანაშაულის გამოძიება ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას

---

[22] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2019062711422057078.pdf, [19.04.2021];

[23] კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=185&clang=0, [19.04.2021]; საია-ს კვლევა არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/2006/Report.%20Geo.pdf, [19.04.2021];

[24] Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 10 to 21 September 2018, CPT/Inf (2019) 16, Strasbourg, 10.05.2019, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680945eca, [19.04.2021]; Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on cooperation with Georgia, (A/HRC/39/44), Human Rights Council, Thirty-ninth session, 10–28 September 2018, Annual report of the United Nations High Commissioner for Human Rights and reports of the Office of the High Commissioner and the Secretary-General, 15.08.2018, ხელმისაწვდომია: https://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/39/44, [19.04.2021]; იხ. ასევე Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on cooperation with Georgia, (A/HRC/39/44), Human Rights Council, Thirty-ninth session, 10–28 September 2018, Annual report of the United Nations High Commissioner for Human Rights and reports of the Office of the High Commissioner and the Secretary-General, 15.08.2018, ხელმისაწვდომია: https://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/39/44, [19.04.2021];

[25] იქვე;

მიეკუთვნებოდეს, თუმცა, ამ დანაწესის საფუძველზე, გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომლის თანამშრომლებმაც სავარაუდოდ ჩაიდინეს დანაშაული. აღნიშნული რეგულაცია პრობლემურია და ინსპექტორის სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას ეჭვქვეშ აყენებს.

5.1.3 პროკურატურის მიერ სრული კონტროლის შენარჩუნება საგამოძიებო პროცესზე და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება

19. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას საქართველოს გენერალური პროკურატურა ახორციელებს. პროკურატურა, ასევე, ინარჩუნებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.[26] ამ პირობებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს არ აქვს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილება და მას უწევს, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება პროკურორს შეუთანხმოს. შესაბამისად, გენერალურ პროკურატურას ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ გამოძიებასთან დაკავშირებით საკმაოდ ფართო უფლებამოსილება აქვს, რომელიც, ასევე, აფერხებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ეფექტიან მუშაობას. აღნიშნული პრობლემა, ასევე, დასახელებულია გამოწვევად სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში. ინსპექტორის შეფასებით, ხსენებული აფერხებს საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების წარმოებას. ინსპექტორის აპარატი ამგვარ მოწესრიგებას „სხვა სახელმწიფო ორგანოზე მიჯაჭვულობას" უწოდებს, რითაც, მნიშვნელოვნად ფერხდება საგამოძიებო პროცესის ეფექტიანი წარმართვა.[27]

20. კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებებზე პროკურორის სავალდებულო თანხმობის მექანიზმი აფერხებს მტკიცებულების დროულ მოპოვებას, რასაც, კონკრეტულ შემთხვევებში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საქმეზე სრულყოფილი გამოძიების წარმართვის მიზნებისთვის. მაგალითისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, როგორიც არის, ჩხრეკა, ამოღება, ვიდეოჩანაწერების, მობილური ტელეფონის ნომერზე შემავალი და გამავალი ზარების შესახებ ინფორმაციის ამოღება, ვიდეოჩანაწერების, სამედიცინო დოკუმენტების გამოთხოვაზე. ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის

[26] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019, 4-5; საია-ს კვლევა არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე. 2019, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/2006/Report.%20Geo.pdf, [19.04.2021];

[27] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, ციტ. ზემოთ, 187;

გამომძიებელს ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არც მაშინ აქვს, როდესაც არსებობს მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, და, შესაბამისად, მათი გადაუდებელი გამოთხოვა ამ მტკიცებულებების გადარჩენისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის გზაა. იმისთვის, რომ ინსპექტორის გამომძიებელმა ზემოთ ხსენებული საგამოძიებო მოქმედებები განახორციელოს, მას პროკურორის თანხმობა ესაჭიროება. იმავე გამოწვევას ვაწყდებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილებასთან დაკავშირებითაც. დამატებით, ასევე, პრობლემურია, ის, რომ ინსპექტორს მოწმის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისთვისაც კი პროკურორის თანხმობა ესაჭიროება. ხაზგასასმელია, რომ ინსპექტორის სამსახურის განმარტებით, მათ მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა 60% სწორედ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვას უკავშირდება, რაც, იმით არის განპირობებული, რომ ის მოწმეები, რომლებიც სამართალდამცავ უწყებას წარმოადგენენ, ხშირად თავს იკავებენ ინსპექტორის აპარატის თანამშრომლების მიერ გამოკითხვის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე და, შედეგად, საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნებისთვის, აუცილებელი ხდება მათი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოკითხვა.[28]

21. ხაზგასასმელია, რომ ვენეციის კომისია არ მიიჩნევს პროკურორის სავალდებულო ჩართულობას საჭიროდ ადამიანის უფლებათა შემზღუდველ ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუკი, უზრუნველყოფილი იქნება მათზე სასამართლო კონტროლი.[29] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ჰქონდეს უფლებამოსილება დამოუკიდებლად, პროკურორის თანხმობის გარეშე, ადამიანის უფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით. ამასთან, მინისტრთა კომიტეტს არაერთგზის მიუთითებია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ეფექტიან ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პროკურატურის მიერ საგამოძიებო პროცესზე სრული კონტროლის შენარჩუნება.[30]

22. ასევე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს ინფორმაცია, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს, სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე უფლებამოსილია მოითხოვოს საქმის მასალების გაცნობა და ზედამხედველ პროკურორს წერილობით მიმართოს დასაბუთებული წინადადებით სხვა

[28] იქვე, 187-8;

[29] იქვე, 188;

[30] CM/Notes/1390/H46-10, 3 December 2020, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH) Human rights, H46-10 Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Notes/1390/H46-10E, [27.04.2021];

საგამოძიებო ორგანოდან მისი საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გადმოცემის შესახებ. თუ ზედამხედველი პროკურორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემას, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია არაუგვიანეს 24 საათისა საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. სახელმწიფო ინსპექტორის ან მისი მოადგილის წინადადება განიხილება მიმართვიდან 24 საათის ვადაში.“ ეს მოწესრიგება პრობლემურია იმდენად, რამდენადაც, თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც განმარტავს, რომ საქმის გადაცემის მიზანშეწონილობის განსახილველად გათვალისწინებული 48 საათი, შესაძლოა, გამოძიების ინტერესებისთვის დამაზიანებელი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებას სწორედ ის უწყება აწარმოებს, რომლის თანამშრომელიც მხილებულია სავარაუდო დანაშაულის ჩადენაში. ამასთან, ინსპექტორის სამსახური ხაზს უსვამს, რომ „კანონი არ განმარტავს, რა წესითა და პროცედურის დაცვით უნდა გაეცნოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმეს მისი გადაცემის მოთხოვნამდე - ვინ უნდა დართოს საქმის გაცნობის ნება (საგამოძიებო უწყებამ თუ პროკურორმა), რა ვადაში და სად უნდა გაეცნოს საქმეს. ამგვარი ბუნდოვანი ჩანაწერი (განსაკუთრებით, ვადის ნაწილში) რისკს უქმნის საქმის მასალების დროულად გაცნობას და, შესაბამისად, ჭიანურდება მიმართვა საქმის ქვემდებარეობით გადაცემაზე.“[31]

5.1.4 დანაშაულთა გარკვეულ კატეგორიაზე გამოძიების წარმოების უფლებამოსილების არქონა

23. როგორც ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონიდან და საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ გენერალური პროკურორის ბრძანებიდან იკვეთება, ინსპექტორს გამოძიების დაწყება შეუძლია არა სამართალდამცველთა მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე, არამედ მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს სსკ-ის 144^1 -144^3 მუხლები, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, 335-ე მუხლი ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი ან თუ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულს შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა. შესაბამისად, დანაშაულთა გარკვეული კატეგორია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიღმაა დარჩენილი, რაც, თავის მხრივ, პრობლემურია და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ საკითხს, თუ ამ მოცემულობაში რამდენად მიიღწევა ის მიზანი, რაც ამ მექანიზმის შექმნას ჰქონდა.

---

[31] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, ციტ. ზემოთ, 191-2;

24. ამასთან, დამატებით აღსანიშნავია, რომ თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მიუთითებს, რომ ხშირად დანაშაულთა ერთობლიობისას საქმეების გაყოფისა და პარალელური გამოძიების გამო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ მოიპოვებს საქმის გამოძიებისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს.[32] ამგვარი ეპიზოდების ცალკე გამოყოფა ხელს უშლის საქმეზე ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოებას. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის, კრიტიკულად აუცილებელია, რომ ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება გავრცელდეს იმ დანაშაულებზეც, რომლებიც სამსახურის ქვემდებარე საქმესთან მჭიდრო კავშირშია. მაგალითისთვის, როდესაც არსებობს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მხრიდან ძალადობის ეჭვი, და, იმავდროულად, საქმეში გამოსაძიებელია სამართალდამცავისთვის პირის მიერ შესაძლო წინააღმდეგობის ფაქტი - ადგილი აქვს ერთსა და იმავე ფაქტობრივ მოცემულობაზე ორი უწყების მიერ გამოძიების წარმართვის შესაძლებლობას.[33]

5.1.5 პენიტენციურ დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაუბრკოლებლად შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები

25. პატიმრობის კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური <u>ნებართვის გარეშე</u> შესვლის უფლებით ვერ სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, მაშინ, როდესაც ანალოგიური უფლებით სარგებლობს პროკურატურის სისტემის საამისოდ უფლებამოსილი პირები; საქართველოს სახალხო დამცველი; სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები თუ სხვა.

26. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, იქიდან გამომდინარე, რომ მათ შორის, ახორციელებს ისეთ დანაშაულებზე გამოძიებას, რომლებიც, შესაძლოა პენიტენციურ დაწესებულებებში, ან დროებითი მოთავსების იზოლატორებში იყოს ჩადენილი, ეფექტიანი რეაგირებისთვის სასიცოცხლოდ ესაჭიროება ისარგებლოს სპეციალური ნებართვის გარეშე პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის უფლებამოსილებით, ვინაიდან, ადგილი არ ჰქონდეს მტკიცებულებათა განადგურებას, ან, გამოძიებისთვის ხელშემშლელ სხვა გარემოებას.

5.2 არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზები

27. სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი წამებისა და არასათანადო მოპყრობის

[32] იქვე;
[33] იქვე;

საქმეებზე სასიცოცხლოდ აუცილებელია ამგვარი დანაშაულების აღკვეთისა და სამართლის აღსრულების თვალსაზრისით, თუმცა, აღნიშნული ფაქტების ეფექტიანი გამოძიება კვლავ სისტემური პრობლემაა. ამ პრობლემაზე უკვე წლების განმავლობაში მიუთითებს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ თუ სპეციალურ ანგარიშებში,[34] ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება[35] თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.[36]

28. სახალხო დამცველი 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავს: „შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პროკურატურის ორგანოები არაჯეროვნად ახორციელებენ უფლებამოსილებას და სერიოზული ხარვეზებით წარმართავენ საგამოძიებო მოქმედებებს. აღქმა, რომელსაც პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება აჩენს, იმგვარია, რომ ეფექტიანი რეაგირებისა და დამნაშავე პირთა დასჯის მოტივაცია საგამოძიებო უწყებას/სახელმწიფოს არ გააჩნია.“[37] ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის მდგომარეობით, სახალხო დამცველის მიერ 2013 - 2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პასუხისგებაში მხოლოდ პოლიციის 3 თანამშრომელი მიეცა, დაზარალებულად კი, მხოლოდ 1 პირი ცნეს.[38]

---

[34] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, 78-83. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf [19.04.2021]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, 111-21, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf, [19.04.2021];

[35] წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020; არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019; არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019; სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018; წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, 23; ხელმისაწვდომია: shorturl.at/els13, [19.04.2021];

[36] აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიში (2020 Country Reports on Human Rights Practices: Georgia), 5-6, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/wp-content/uploads/2021/03/GEORGIA-2020-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf, [28.04.2021]; წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ, §§ 13-5; Human Rights Watch-ის 2019 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2Q4VOA7, [13.05.2020]; Amnesty International-ის 2017-2018 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2Ind9A0, [19.04.2021];

[37] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, 51;

[38] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, 81;

29. ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული ის პრობლემები, რომლებიც მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების თვალსაზრისით, კერძოდ: (1) სისხლის სამართლის საქმეების არასწორი კვალიფიკაციით წარმოება; (2) არსებულ იერარქიულ და ინსტიტუციურ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები; (3) სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის ეფექტიან მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

5.2.1. სისხლის სამართლის საქმეების არასწორი კვალიფიკაციით წარმოება

30. 2020 წელს, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების არასწორი კვალიფიკაციით წარმართვა. კერძოდ, პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში საგამოძიებო ორგანო გამოძიებას იწყებს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და არა სპეციალურით მუხლით. კერძოდ, გამოძიება იწყება ისეთი ზოგადი მუხლით, როგორიც არის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და არა არასათანადო მოპყრობის ან წამების მუხლით.[39]

31. სახალხო დამცველი 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებს რომ „პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, როგორც პროკურატურა, ისე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიც, ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით იწყებენ. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლით (წამების აკრძალვა) გამოძიება არ დაწყებულა. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლს (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), 2020 წელს ამ მუხლით გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორმა 18 შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლის, ხოლო 5 შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის შესაძლო დანაშაულის ფაქტების თაობაზე დაიწყო.“[40]

32. არასწორი კვალიფიკაციის პრობლემა, ასევე, იკვეთება საიას წარმოებაში არსებულ საქმეებშიც. საიას 2020 წლის ანგარიშში, რომელიც საიას წარმოებაში არსებულ საქმეებს მიმოიხილავს, აღნიშნულია, რომ მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მძიმე ფორმებისა, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით საიას წარმოებაში არსებული 10 სისხლის სამართლის საქმიდან 6 საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო.[41] აღნიშნულთან კავშირში, ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წლის 20

---

[39] იქვე., 80;

[40] იქვე;

[41] საია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია, 2020, 23;

ივნისს დაზარალებულ პირებთან მიმართებით, რომელთა ინტერესებს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საია წარმოადგენს, გამოძიება მხოლოდ 333-ე მუხლის კვალიფიკაციით მიმდინარეობს. დაზარალებულთა მიმართ ჩადენილი ქმედებები, თავისი არსით, უტოლდება არაადამიანურ ან/და დამამცირებელ მოპყრობას, და უნდა დაკვალიფიცირდეს 144[3] მუხლით, თუმცა, დღემდე, მიუხედავად საიას მოთხოვნისა, აღნიშნულის დაკმაყოფილება გენერალური პროკურატურის მხრიდან არ ხდება.[42] ეს შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა სახის გამოწვევები არსებობს სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სწორ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

33. არასწორი კვალიფიკაციის პრაქტიკაზე საუბრობს, ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტიც და, სწორედ ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ფარგლებში მოუწოდებს სახელმწიფოს, რომ გამოასწოროს აღნიშნული. ამასთან, მინისტრთა კომიტეტი ხაზს უსვამს არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევაში დაზარალებულების მხრიდან გასაჩივრების მექანიზმის არარსებობის ფაქტსაც.[43]

5.2.2 არსებულ იერარქიულ და ინსტიტუციურ ქვემდებარეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები - საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება

34. საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს.[44] ბრძანებით დარეგულირებულია თითოეული უწყების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური) საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის განკუთვნილი კონკრეტული დანაშაულები. ბრძანების თანახმად, სისხლის სამართლის საქმე შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

---

[42] იხ. საიას განცხადება: საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს, 07.04.2021, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-20-ivniss-dazaralebuli-demonstrantebisa-da-zhurnalistebis-sakhelit-evropul-sasamartlos-mimartavs, [28.04.2021];

[43] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH), Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-10E, [19.04.2021];

[44] საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4638682?publication=0, [19.04.2021];

35. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის ამოქმედების შემდეგ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სავარაუდო დანაშაულების ჩადენის ფაქტზე გამოძიებას, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ეს უწყება ახორციელებს. თუმცა, აღნიშნული ბრძანება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტული უწყების წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაული ისევ იმ უწყებამ გამოიძიოს, რომელშიც სავარაუდო დამნაშავეა დასაქმებული. მაგალითისთვის, 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებას კვლავ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ახორციელებს, თუ ამ ქმედების ჩადენას არ მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.

36. ამასთან, ბრძანების თანახმად, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ დავას ზემდგომი პროკურორი წყვეტს.[45] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად სხვა საგამოძიებო ორგანოს გადასცეს.[46] გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხსენებული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობა არ ითხოვს, რომ გენერალურმა პროკურორმა ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა დაასაბუთონ ერთი ორგანოდან მეორე ორგანოსთვის საქმის გადაცემის გადაწყვეტილება.

37. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობის პრობლემაზე. აღნიშნული კონკრეტული საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა. კერძოდ, "სახალხო დამცველის აპარატმა, პატიმართა გარდაცვალების ფაქტებზე წარმოებული 2015-2018 წლების 17 სისხლის სამართლის საქმე შეისწავლა. მათზე გამოძიება დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო შეწყდა. აქედან 4 საქმე შეეხებოდა შესაძლო სუიციდის შემთხვევას, 13 საქმე - ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უეცარ გარდაცვალებას. საქმეთა შესწავლამ გამოავლინა როგორც გამოძიების, ისე პატიმრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარვეზები.[47] კერძოდ, გამოძიების კუთხით გამოიკვეთა შემდეგი: პატიმართა გარდაცვალების ფაქტზე გამოძიებას იწყებდა და აწარმოებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც, ცხადია, ინსტიტუციურად, დამოუკიდებელი ორგანო არ ყოფილა. შესწავლილი საქმეებიდან, პროკურატურას არცერთი საქმე არ უწარმოებია."[48]

---

[45] საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება, მუხლი 15;

[46] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33, ნაწილი 6, ქვეპუნქტი „ა", მეორე წინადადება;

[47] იხ. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/saqmianobis-angarishebi/siskhlis-samartlis-martlmsajulebis-departamentis-sakmianobis-2019-tslis-angarishi, [28.04.2021];

[48] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 38;

38. იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტიანად ჩაითვალოს, გამოძიებასა და მის წარმართვაზე, პასუხისმგებელი პირები დამოუკიდებელი და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ კანონისა და პრაქტიკის თვალსაზრისით.[49] ეს გულისხმობს, როგორც მოვლენებში ჩართულ მხარეებთან იერარქიული თუ ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, ასევე, პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც.[50] როგორც ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, საგამოძიებო დამოუკიდებლობის შესახებ, ევროპული სასამართლოს ცალსახა მიდგომის მიუხედავად, კვლავ რჩება გარკვეული სახის ხარვეზები მოქმედ კანონმდებლობაში. აღნიშნული ხარვეზები გამოძიების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგან სწორედ იმავე უწყებას ეძლევა გამოძიების წარმოების უფლებამოსილება, რომლის თანამშრომლებსაც, შესაძლოა, მიუძღოდეთ ბრალი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში. ამავდროულად, პრობლემურია გენერალური პროკურორის ფართო უფლებამოსილება, რომელსაც ყოველგვარი სათანადო დასაბუთების გარეშე შეუძლია, საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებისა და კანონის მოთხოვნებისგან განსხვავებულად მოაწესრიგოს. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზები, ეფექტიანი გამოძიების წარმოებისთვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ საჭირო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და დამატებით დახვეწას საჭიროებს.

5.2.3 სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის ეფექტიან მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები

39. დაზარალებულის ჩართულობა გამოძიების ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, თუმცა, დღეს არსებული პრაქტიკა მოწმობს, რომ ხშირ შემთხვევაში სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულები ეფექტიანად არ არიან ჩართულები და არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს მათი ინტერესების სათანადო დაცვას.

40. ბოლო წლების განმავლობაში საია აქტიურად ითხოვდა დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარებას და მათ სათანადო დარეგულირებას როგორც პრაქტიკაში, ასევე კანონმდებლობაში.[51]

---

[49] *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia),* 35403/06, 15.02.2011, § 76;

[50] იქვე, იხ. *სკავუცო-ჰაგერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Scavuzzo-Hager and Others v. Switzerland),* №41773/98, §§ 8-86, 07.02.2006;

[51] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. საიას ალტერნატიული ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის (1-6104/19/9; 27.03.2019) ანგარიშზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება, 2019, 3; ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina#sthash.VdyUf5vz.dpbs, [19.04.2021]; Communication from a NGO (03/09/2018) and reply from the authorities (13/09/2018) in the cases of Bekauri and Others, Studio Maestro and

თუმცა, ამ დროისთვის ვითარება არ შეცვლილა და დაზარალებულები კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე რჩებიან. კერძოდ, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: (1) დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ხარვეზები; (2) დაზარალებულის მიერ გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესახებ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარვეზები; (3) სისხლის სამართალწარმოების შესახებ დაზარალებულის ინფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზი; (4) იურიდიული დახმარებას გაწევა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის. ქვემოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იქნება განხილული.

5.2.3.1 დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ხარვეზები

41. დღეს არსებული მონაცემებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი კვლავ დაბალია. სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, 2012-2019 წლებში პროკურატურაში გაგზავნილი 107 წინადადების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, გამოძიებამ მხოლოდ ერთ შემთხვევაში ცნო პირი დაზარალებულად.[52]

42. დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემაზე წლებია ასევე, საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც მათ სამართალწარმოების პრაქტიკაზე დაყრდნობით.[53] მაგალითისთვის, საიას წარმოებაში არსებული 10 საქმიდან, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს შეეხება, მხოლოდ ორი პირია ცნობილი დაზარალებულად.[54] დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემა, ასევე, გამოიკვეთა 2019 წლის 20-21 ივნისის საქმეებში, რომელზეც სათანადო მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობის მიუხედავად, დაშავებულ პირთა უმრავლესობას დღემდე არ ენიჭება დაზარალებულის სტატუსი.[55]

43. პრაქტიკაში არსებული გამოწვევების პარალელურად, პრობლემას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების დასაბუთების

Others and Tsintsabadze v. Georgia (Applications No. 312/10, 22318/10, 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2018)880E, [19.04.2021];

[52] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 81;

[53] სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიების ხარვეზები და მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2018, 28; არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, 32;

[54] საია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია, 2020, 8-9;

[55]იხ. საიას განცხადება: საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს, 07.04.2021, ციტ. ზემოთ;

ვალდებულებას დაზარალებულის სხვა უფლებების შეზღუდვისგან განსხვავებით, რომლითაც პროკურორის დადგენილების დასაბუთების ვალდებულება მკაფიოდაა განსაზღვრული.[56] დაუსაბუთებელი დადგენილების პირობებში მსხვერპლი მოკლებულია შესაძლებლობას, გაეცნოს დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებს, რაც, ერთი მხრივ, ართმევს მას ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიან შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის გადაწყვეტილების მიმღები პროკურორის თვითნებობის რისკებს. აღნიშნულის დამაბალანსებელი იქნებოდა, თუ დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, სულ მცირე, მიუთითებდა იმ საფუძვლებსა და მიზეზებზე, რომლებიც შესაძლოა, სადავო გახადოს დაზარალებულმა.[57]

5.2.3.2 დაზარალებულის მიერ გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესახებ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარვეზები

44. დღეს არსებული კანონმდებლობით, დაზარალებულის მიერ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება შეზღუდულია როგორც საჩივრის მიმღები პირის/ორგანოს, ასევე დანაშაულის კატეგორიის მიხედვით. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, აღნიშნულ საკითხებზე მიღებული დადგენილებები ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება პირველ ინსტანციაში ერთჯერადად საჩივრდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა.[58]

45. იმ პირობებში, როდესაც გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან დევნის არდაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს დაზარალებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე სისხლის სამართალწარმოების პროცესში, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაამოწმოს დევნის დაწყებაზე უარის საფუძვლიანობა და კანონიერება. დაზარალებულის ინტერესების დაცვისათვის სათანადო გარანტიების მინიჭებასა და სასამართლოში გასაჩივრების უფლების აუცილებლობაზე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება საქართველოს

[56] მაგალითისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

[57] იხ. საკონსტიტუციო სარჩელი N1389, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1489, [19.04.2021];

[58] იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 106.1^1 და 168.2;

საკონსტიტუციო სასამართლომ მის გადაწყვეტილებებში,[59] განმარტა რა, რომ დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, დაზარალებულის ინტერესების დასაცავად, სასამართლო კონტროლი არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური გზა, პროკურორი აიძულოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი.[60]

46. ხაზგასასმელია, რომ არსებული პრაქტიკის თანახმად, გამოძიების/დევნის შეწყვეტის/არდაწყების საკითხები, როგორც წესი, წინასწარ შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან.[61] შესაბამისად, გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორი, უმეტესად, არ ცვლის ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთან, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებები არ შეესაბამება დასაბუთების მინიმალურ სტანდარტს. ხშირ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორი უბრალოდ უთითებს, რომ ეთანხმება ქვემდგომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე.[62] აღსანიშნავია, რომ პროკურორს ხსენებული გადაწყვეტილებების დასაბუთება კანონმდებლობითაც არ აქვს განსაზღვრული, რაც, ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება, ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება, არ წარმოადგენს უფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმს, რადგან ხშირ შემთხვევაში არ არის შედეგის მომცემი და ფორმალურ ხასიათს ატარებს.[63]

47. აღნიშნულის მოწესრიგების პრობლემურობის შესახებ საია 2019 და 2020 წელს საქართველოს პარლამენტის წინაშე წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშებში,[64]

---

[59] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;“* 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;“*

[60] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“* § 50;

[61] საია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები, 2016; ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90/dazaralebulis%20uflebebi.pdf , [19.04.2021];

[62] Communication from a NGO (03/09/2018) and reply from the authorities (13/09/2018) in the cases of Bekauri and Others, Studio Maestro LTD and Others and Tsintsabadze v. Georgia (applications No. 312/10, 22318/10, 35403/06), § 38, pg.15;

[63] საიას კვლევა „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, 2018; https://bit.ly/2dwr7Aj [19.04.2021];

[64] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე 2019 წელს წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის (1-6104/19/9; 27.03.2019) ანგარიშზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina, [24.04.2021]; იხ. ასევე, საიას 2020 წლის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშზე,

და, ასევე, 2018 და 2020 წელს მინისტრთა კომიტეტის წინაშე ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებულ კომუნიკაციაშიც აცხადებდა.[65]

48. 2020 წლის 1-3 დეკემბრის განხილვას მინისტრთა კომიტეტმა ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულების მიმდინარეობის შეფასებისას სახელმწიფოს მოუწოდა, რომ მიიღოს ზომები, რათა ხელმისაწვდომი იყოს არაადამიანური მოპყრობის ყველა მსხვერპლისთვის გამოძიების არდაწყების, შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.[66]

5.2.3.3 სისხლის სამართალწარმოების შესახებ დაზარალებულის ინფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზი

49. არსებული კანონმდებლობით, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომების ჩატარების შესახებ, ასევე, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შესახებ დაზარალებულს ეცნობება მხოლოდ მისი მოთხოვნის შემთხვევაში და ეს არ წარმოადგენს პროკურატურის ვალდებულებას.[67] მოქმედი ნორმებიდან ასევე გაუგებარი და ბუნდოვანია, რა ფორმით უნდა მოითხოვონ დაზარალებულებმა ეს ინფორმაცია - წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ პროკურორს თუ სატელეფონო დარეკვაც საკმარისია.

50. აღნიშნული მოწესრიგება პრობლემას წარმოადგენს, რადგან ხშირ შემთხვევაში დაზარალებულისთვის არ ხდება მისი უფლებების სათანადოდ გაცნობა, ამ პირობებში კი ამ უკანასკნელთათვის არ არის აღქმადი, რომ სწორედ მათ უნდა მიმართონ პროკურატურას ამ მოთხოვნით. შედეგად, ხშირად, პროკურატურის მხრიდან ისე ხდება საქმის სასამართლოსთვის გადაცემა, რომ დაზარალებულს ამის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნია და მოკლებულია სასამართლო პროცესებზე დასწრების შესაძლებლობას. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა არ

ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-strasburgis-sasamartlos-saqmeebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishebit-mimarta, [24.04.2021];

[65] Communication from a NGO (03/09/2018) and reply from the authorities (13/09/2018) in the cases of BEKAURI AND OTHERS, STUDIO MAESTRO Ltd AND OTHERS and TSINTSABADZE v. Georgia (Applications No. 312/10, 22318/10, 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2018)880E, [28.04.2021]; Communication from NGOs (Georgian Young Lawyers' Association (GYLA) and European Human Rights Advocacy Centre (EHRAC)) (20/10/2020) concerning the case of TSINTSABADZE GROUP v. Georgia (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)944E, [28.04.2021];

[66] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH) *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-10E [19.04.2021];

[67] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი" ქვეპუნქტი; 58-ე მუხლი;

უზრუნველყოფს დანაშაულის მსხვერპლის ეფექტიან მონაწილეობას და მის სათანადო ინფორმირებას სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

5.2.3.4 იურიდიული დახმარებას გაწევა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის

51. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის სათანადო დაცვისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ეფექტიანი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას. მართალია, მსხვერპლთა ინტერესების დაცვა სამოქმედო გეგმებში გაწერილია,[68] თუმცა, აღნიშნული ამოცანა დღემდე არ შესრულებულა. შედეგად, წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლები არ არიან უზრუნველყოფილი ეფექტიანი იურიდიული დახმარებით და სახელმწიფოს ხარჯზე ვერ იღებენ სათანადო დახმარებას.[69]

5.3 სამართალდამცავი უწყებისა და მოქალაქის/დაკავებული პირის კომუნიკაციის აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზები

52. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და მსგავსი მოპყრობისგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან გარანტს პოლიციის წარმომადგენლისა და მოქალაქის კომუნიკაციის, მათ შორის, გამოკითხვის/დაკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა წარმოადგენს.[70] კომიტეტის რეკომენდაციით, პოლიციის დაწესებულებებში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის ელექტრონული (აუდიო ან/და ვიდეო) გადაღება უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. მოთხოვნის შემთხვევაში ჩანაწერზე გამოსაკითხ პირს უნდა მიეცეს წვდომა.

---

[68] 2018-20 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში, ისევე, როგორც ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-20 წლების სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ იგივე ამოცანები ადამიანის უფლებათა 2017-18, 2016-17 და 2014-15 წლების გეგმებში, ასევე ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-18 წლების სამოქმედო გეგმაშიც იყო გათვალისწინებული. სტრატეგია და სამოქმედო გეგმები ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201/, [19.04.2021];

[69] საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=23, [14.05.2020];

[70] European Committee for the Prevention of Torture to Ireland, 2006, ხელმისაწვდომია: https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/factsheet-2-cctv-2nd-ed-v4.pdf, [19.04.2021]; Concluding observations on the sixth periodic report of the Russian Federation, CAT/C/RUS/CO/6, 2018, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/en/CAT/C/RUS/CO/6, [19.04.2021]; Report to the Government of Serbia on the visit to Serbia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment- (CPT), CPT/Inf (2018) 21, 2017, 16,23; ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16808b5ee7,[19.04.2021];

53. ვიდეო-აუდიო ჩაწერის განხორციელების უფლებამოსილება კანონმდებლობით მხოლოდ საპატრულო პოლიციას აქვს. საპატრულო პოლიციასთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ვიდეო-აუდიო ჩაწერა საპატრულო პოლიციის უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. აღნიშნული რეკომენდაცია, საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, კვლავ შეუსრულებელი რჩება.[71]

54. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გარდა, მოქალაქეებთან, ხშირად, კომუნიკაციას კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ახორციელებენ და მათ მიერ ხორციელდება დაკავება, გამოკითხვა ან/და დაკავებულის ტრანსპორტირება. თუმცა, საკანონმდებლო ხარვეზი ვლინდება იმაში, რომ საპატრულო პოლიციისგან განსხვავებით, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს სამხრე ვიდეოკამერების ტარებასთან დაკავშირებით კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების არათუ ვალდებულებას, არამედ უფლებამოსილებასაც კი. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პოლიცია ვალდებულია, ვიდეოკამერით იყოს აღჭურვილი მხოლოდ სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების დროს.[72]

55. ამასთან, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვიდეოკამერების არარსებობა პოლიციის განყოფილებების შიდა პერიმეტრზე, გამოსაკითხ ოთახებსა და იმ ადგილებში, სადაც ყველაზე ხშირად ხდება სავარაუდო არასათანადო მოპყრობა.[73] ამ პრობლემაზე საია წინა წლებშიც საუბრობდა.[74] სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში, მითითებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წელს პოლიციის სამი დაწესებულების გარდა,[75] ყველა ტერიტორიული ერთეული აღჭურვილია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერებით, თუმცა, ყველა სივრცე, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს უწევს ყოფნა, ვიდეო მეთვალყურეობით დაფარული არ არის.[76]

56. 2020 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი ისევ აღნიშნავს, რომ პოლიციის დაწესებულებებში კვლავ პრობლემად რჩება შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. ასევე, კვლავ გრძელდება დაკავებულთან ან დაწესებულებაში სხვა სტატუსით მყოფ პირთან პოლიციის დაწესებულებების უფროსებისა და მათი მოადგილეების სამუშაო კაბინეტებში გასაუბრების

---

[71] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, ციტ. ზემოთ, 10; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, ციტ. ზემოთ, 475;

[72] საია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმები და პრევენცია, 2020, 21;

[73] იქვე;

[74] საიას კვლევა „არასათანადო მოპყრობის პრევენცია და რეაგირება მომხდარ ფაქტებზე", 2019, 30-1, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/2006/Report.%20Geo.pdf, [19.04.2021];

[75] ესენია: შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველო; ლენტეხის რაიონული სამმართველოს ჟახუნდერის პოლიციის განყოფილება;

[76] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 90;

პრაქტიკა. აღნიშნული პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ამ სამუშაო კაბინეტებში არ მიმდინარეობს აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა, რაც ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკებს.[77] საიას წარმოებაში არსებული ირაკლი ხოფერიას საქმის შემთხვევაში, დაზარალებული სწორედ პოლიციის უფროსის კაბინეტში დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.[78]

57. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოეწყოს სპეციალური დაკითხვის ოთახი, სადაც განხორციელდება პირის გამოკითხვა/დაკითხვა აუდიო-ვიდეოგადაღების მეშვეობით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის შეყვანა მაინც მოხდება უფროსის ან მოადგილის ოთახში, ასეთ დროს, ასევე, აუცილებელია, მოხდეს პოლიციის თანამშრომლებსა და დაკავებულ მოქალაქეს შორის მიმდინარე საუბრის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

5.4. პოლიციის განყოფილებებში დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები

58. დღევანდელი მოცემულობით, კვლავ ერთ-ერთ გამოწვევას პოლიციის განყოფილებებში დოკუმენტაციის არასათანადო წარმოება წარმოადგენს. პოლიციის განყოფილებებში არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტს ჩანაწერების *(Custody Record)* წარმოება წარმოადგენს, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას პირის დაკავებასთან დაკავშირებით, მათ შორის მისი განყოფილებაში მიყვანის დროს, რა სახის ღონისძიებები განხორციელდა მასთან, როდის მიეცა ადვოკატთან/ოჯახის წევრთან დაკავშირების უფლება, აღენიშნებოდა თუ არა რაიმე სახის დაზიანებები, როდის განუმარტეს უფლებები და სხვა რელევანტურ ინფორმაციას. მსგავს ინდივიდუალურ ჟურნალზე წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დაკავებულს, ასევე მის ადვოკატს. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება რეკომენდირებულია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერაც.[79] თუმცა, დღეის მდგომარეობით საქართველოში მსგავსი სტანდარტიზებული დოკუმენტის წარმოება არ ხდება. შესაბამისად, აუცილებელია, პოლიციის განყოფილებებში დროულად დაინერგოს აღნიშნული ინდივიდუალური ჟურნალის წარმოება, რაც დამატებით გარანტიებს შექმნის წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის.

---

[77] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 72;

[78] იხ. საიას განცხადება, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-irakli-khoferias-tsamebis-saqmeze-evropul-sasamartloshi-tserilobiti-argumentacia-tsaradgina#sthash.rwaBEw54.dpbs, [19.04.2021];

[79] CTP, Police custody, Extract from the 2nd General Report of the CPT, published in 1992, CPT/Inf(92)3-part, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16806cea2f, [19.04.2021];

5.5. საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების შესახებ არსებული ხარვეზები

59. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N 123 საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელებას არეგულირებს.[80] პატიმრობის კოდექსი და 123-ე ბრძანება განსაზღვრავს, რომ სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, პენიტენციურ დაწესებულებაში განახორციელოს მათ შორის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების ფოტოგადაღება ამ პირთა თანხმობით. ბრძანების თანახმად, სახალხო დამცველმა აღნიშნულ უწყებას, ვიზიტის განხორციელებამდე არანაკლებ 5 დღით ადრე უნდა შეატყობინოს, მათ შორის, იმგვარი დეტალები, როგორიცაა იმ ფოტოაპარატის მონაცემები (მარკა, მოდელი, სერია), რომლითაც უნდა მოხდეს დაწესებულებაში ფოტოგადაღება, ასევე იმ პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა), რომელმაც უნდა მოახდინოს ფოტოგადაღება.[81] 5 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულების არსებობამ შესაძლოა, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების დაკარგვა გამოიწვიოს, რადგან 5 დღის შემდეგ ფიზიკური ძალადობის კვალი საერთოდ გაქრეს. შესაბამისად, აღნიშნული მოწესრიგება ხელს უშლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს სპეციალური პრევენციის ჯგუფისთვის მინიჭებულ ამ უფლებას.

5.6. კრიმინალური სუბკულტურის არსებობა პენიტენციურ დაწესებულებებში

60. საქმეში ***ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ*** ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომჩივნის შვილის გარდაცვალების მომენტისთვის საქართველოს ციხეებში არსებული არაკანონიერი პრაქტიკის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივ პატიმრებში შიშს წარმოშობდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებისა თუ ციხის ადმინისტრაციის მიმართ.[82] იმ პირობებში, როდესაც ცინცაბაძის საქმეში სასამართლო საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ციხეებში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ამ გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულებისთვის, კრიტიკულად

---

[80] ბრძანება საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3377814?publication=0, [19.04.2021];

[81] იქვე., მუხლი 3;

[82] *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ*, ციტ. ზემოთ, § 89;

აუცილებელია, სახელმწიფომ ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები პენიტენციურ სისტემაში არაფორმალური მმართველობის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მომავალში ცინცაბაძის საქმის მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებას.

61. ზოგადად, ციხის კრიმინალური სუბკულტურა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ფართოდ გავრცელებული მეთოდი იყო პენიტენციური ორგანოების მიერ პატიმრებზე კონტროლის დაწესებისა და მართვის მიზნით.[83] კრიმინალურმა სუბკულტურამ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მყარად მოიკიდა ფეხი. შედეგად, წლების განმავლობაში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ციხეებს არაფორმალურად მართავდნენ. საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, დღეს კრიმინალური სუბკულტურის გავლენა ძლიერდება.[84] პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურას, ასევე, აჩვენებს 2013 და 2014 წლებში N14 დაწესებულებაში პატიმართა შორის დაპირისპირების შედეგად ორი მსჯავრდებულის, ლევან კორტავას და გიგა ფარტენაძის მკვლელობა. ორივე საქმეში დანაშაულის ჩადენაში კრიმინალური ავტორიტეტების და მაყურებლების მონაწილეობა ფიგურირებს.[85]

62. არაფორმალური მმართველობის შედეგია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს შორის წესრიგის დაცვასა და შენარჩუნებას ციხის ადმინისტრაციასთან ერთად ხშირად კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებიც ახორციელებენ. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები არ დგამენ ქმედით ნაბიჯებს არსებული ვითარების შესაცვლელად. ამის საპირისპიროდ, ადმინისტრაცია არაფორმალურ მმართველებთან აქტიურად თანამშრომლობს და პატიმრებთან „ურთიერთობების მოსაგვარებლად“ მათ იყენებს. როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის ანგარიშშია აღნიშნული, არაფორმალური მმართველები მსჯავრდებულებს უხსნიან, რომ პრობლემის ქონის შემთხვევაში, მათ

---

[83] *აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ (ASHLARBA v. GEORGIA)* no. 45554/08, 15.07.2014, § 22;

[84] იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020, 55-8, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf, [19.04.2021]; იხ. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, 8; ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf, [19.04.2021]; იხ. ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ, CPT/Inf (2019) 16, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680945eca, [19.04.2021];

[85] ტაბულა, ლევან კორტავას საქმეზე ბრალი კრიმინალურ ავტორიტეტებს წაუყენეს, 10.12.2013, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZmkFEH; გაზეთი ბათუმელები, გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი ექსპერტიზის დასკვნას ელოდება, 19.03.2014, https://batumelebi.netgazeti.ge/news/7413/; გაზეთი ბათუმელები, გიგა ფარტენაძის მკვლელობაში გასამართლებულმა ციხეში თვითმკვლელობა სცადა, 10.02.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/181909/, [19.04.2021];

უნდა მიმართონ და ისინი შეეცდებიან ამ პრობლემის მოგვარებას.[86] შედეგად პატიმრები უარს ამბობენ საჩივრების დაწერაზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ ამა თუ იმ საკითხზე პრეტენზიის დაფიქსირება სურთ.[87] პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად, ყოველწლიურად არაფორმალური მმართველობის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, ასევე, კლებულობს სახალხო დამცველის სახელზე გაგზავნილი განცხადებების რაოდენობა.[88]

63. გაძლიერებული არაფორმალური მმართველობის შედეგად პატიმართა შორის ძალადობრივი გარემო უფრო გაიზარდა.[89] პატიმრები ექვემდებარებიან როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობას სხვა პატიმრების მხრიდან.[90] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ რეპრესიების შიშიდან გამომდინარე, პატიმრები იძულებული არიან, დაიცვან არაფორმალური წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება მათი გარიყვა სოციუმიდან და ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა სხვა პატიმრების მხრიდან. აღნიშნული კი, პატიმრებში მისი ღირსების, სტატუსისა და პატივისცემის დაკარგვას იწვევს და მათ მდგომარეობას უფრო ამძიმებს.[91] ციხეებში თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა, დამატებით ზრდის ძალადობის რისკს და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას პატიმართა შორის, რადგან ასეთ პირობებში თანამშრომლები ხშირად დროული რეაგირების განხორციელებას ვერ ახერხებენ.[92]

64. ხშირია პატიმრებს შორის ფულისა და სხვადასხვა ნივთის გამოძალვის შემთხვევებიც.[93] აღსანიშნავია, რომ ცინცაძის საქმეში გამოვლენილი შემთხვევის მსგავსად, დღესაც არსებობს ე.წ. „საერთოს“ შეგროვების პრაქტიკა.[94] ასე მაგალითად, #15 დაწესებულებასთან მიმართებით სახალხო დამცველი აღნიშნავს შემდეგს: *„თითოეული საკნის „საწევრო“ გადასახადის ეკვივალენტის ყავა და სიგარეტი ბარდება არაფორმალურ მმართველებს. ამის შემდგომ, პატიმრები სიგარეტს ყიდულობენ არა მაღაზიაში, არამედ „მაყურებლისგან“. მათი ახლობლები შესაბამის თანხას რიცხავენ „მაყურებლების“ მიერ კონტროლირებულ საბანკო ანგარიშებზე ან სპეციალურად გახსნილ ტოტალიზატორის ანგარიშზე. დაწესებულებაში „საერთოში“ მონაწილეობა საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა*

---

[86] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, ციტ. ზემოთ, 7-8;

[87] იქვე., 21;

[88] იქვე., 22; იხ. ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020, 58;

[89] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ, §§ 8, 49-51;

[90] იქვე;

[91] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019, 10;

[92] იქვე., 17;

[93] იქვე., 9-11, 20;

[94]იქვე., 21;

დაკავშირებული. ზოგიერთი მსჯავრდებული, შემოსავლის გათვალისწინებით, თვეში მხოლოდ 20 ლარის ღირებულების კონტრიბუციით შემოიფარგლება, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში კი, საკნის კონტრიბუცია 300-400 ლარს აღწევს. ერთ-ერთი მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მისი საკნიდან „საერთოსთვის“ ყოველ თვე 200 ლარი იკრიბებოდა და ვინაიდან მას არ გააჩნდა ფინანსური შესაძლებლობები, სხვა პატიმრებმა იგი გარიყეს და აითვალწუნეს.”[95]

65. არაფორმალური მმართველობის შედეგია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პრივილეგირებული პატიმრები გაჩნდნენ, რომლებიც სხვა პატიმრებისგან განსხვავებით გარკვეული შეღავათებით და უპირატესობებით სარგებლობენ. აღნიშნულ პატიმართა საკნებში უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები შეინიშნება. გარდა ამისა, ასეთ პატიმრებს საკნებში აქვთ ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელიც სხვა პატიმრებისთვის არ არის დაშვებული.[96] სახალხო დამცველის განმარტებით, პატიმრები, ასევე, სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობენ, მაგალითად, როგორიცაა მეგობრებთან ერთად საკნებში გადანაწილება, დროული სამედიცინო მომსახურების მიღება.[97]

66. პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის გაძლიერებას ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების კუთხით არსებული გამოწვევებიც, მათ შორის როგორიცაა მათ ღირებულებებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის არსებობა.[98]

67. აღსანიშნავია რომ კრიმინალურ სუბკულტურასა და მათ მიერ პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალურ მმართველობას საქართველოს სახალხო დამცველი 2020 წლის ანგარიშშიც განიხილავს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დაწესებულების თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების ე.წ. მაყურებლებისადმი დელეგირება ხდება მათი მეშვეობით ციხის არაფორმალურად სამართავად, „რაც მიზნად ისახავს პატიმართა გაჩუმებას, მათთვის პრობლემებზე საუბრის აკრძალვას და დაწესებულებებში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას“.[99] სახალხო დამცველი ხაზს უსვამს რომ „არაფორმალური მმართველობა პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. ფსიქოლოგიური ძალადობა ძირითადად გამოძალვაში, დამცირებაში, გარიყვასა და სხვა ქმედებაში გამოიხატება“.[100]

---

[95] იქვე;

[96] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტის შედეგების შესახებ, 28, 36;

[97] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020, 56-7;

[98] დემეტრაშვილი ნ., ივანიაძე თ., პენიტენციურ სისტემაში უმცირესობათა უფლებების დაცვისა და რეალიზების შესაძლებლობები და გამოწვევები, კვლევის ანგარიში, 2020, 10, ხელმისაწვდომია: shorturl.at/prAX8, [19.04.2021];

[99] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 49-50;

[100] იქვე., 50.

68. ხაზგასასმელია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებიდან, განსაკუთრებით კი, ნახევრად ღია დაწესებულებებიდან, წლიდან წლამდე მცირდება პატიმართა კომუნიკაცია სახალხო დამცველთან. აღნიშნული, ასევე, შეინიშნება საიასადმი პატიმრების მომართვიანობის თვალსაზრისით. სპეციალური პრევენციული ჯგუფი 2020 წლის ანგარიში მიუთითებს, რომ პატიმართა უამრავი პრობლემა ვერ აღწევს მათზე რეაგირების მიზნებისთვის არსებულ ინსტიტუციებამდე, როგორც არის მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატი.[101]

69. 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველი, გარდა ციხეების ადმინისტრაციის მიერ კრიმინალურ სუბკულტურასთან თანამშრომლობისა, ყურადღებას ამახვილებს უფრო საგანგაშო გარემოებაზეც. კერძოდ, 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ის მცირე რაოდენობის საქმეები, სადაც პატიმრების მიმართვის საფუძველზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, როგორც კრიმინალური სუბკულტურის მიერ, ისე მათი მფარველი ან უმოქმედობით თანამონაწილეობაში მყოფი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ დანაშაულების შესაძლო ჩადენის ფაქტებზე. სახალხო დამცველი ანგარიშში მიუთითებს: „გამოძიების მასალებმა აჩვენა, რომ პენიტენციური სისტემის უმოქმედობა ციხეში კრიმინალური სუბკულტურის არსებობისა და მისი გავლენების მიმართ, თითქმის არასოდეს ფასდება სამართლებრივად. გამოძიებას არც კი დაუკითხავს პენიტენციური სისტემის მაღალჩინოსნები (გარდა ციხის ადმინისტრაციისა) და არ გაუტარებია მათ მიმართ საჭირო საგამოძიებო მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციური სისტემის წარმომადგენელი იმჟამინდელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებზე, როგორც ე.წ. მაყურებლებისთვის პრივილეგიების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, უთითებდა."[102]

70. ამგვარად, საგანგაშოა ის გარემოება, რომ კრიმინალური სუბკულტურას არა მხოლოდ ციხის ადმინისტრაცია, არამედ პროკურატურის მიერ ეფექტიანი გამოძიების წარმოებაზე უარის თქმაც ახალისებს. გარდა იმ გამოძიებების არაეფექტიანობისა, რაც პროკურატურამ ფორმალურად დაიწყო, სახალხო დამცველი მიუთითებს პროკურატურის მიერ დანაშაულის ნიშნების (მუქარა, ცემა, გამოძალვა, ეკონომიკური დანაშაულები, მოხელეთა მიერ უფლებამოსილების გადამეტება და სხვ.) არსებობის შემთხვევაში გამოძიების დაწყებაზე უარის თქმასა და საქმის იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის გადაგზავნის პრაქტიკაზე.[103]

---

[101] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 2021, 14, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040114045198598.pdf, [28.04.2021];

[102] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 51;

[103] იქვე., 52;

71. როგორც ზემოთ აღნიშნულით დასტურდება, ბოლო წლებში საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურა კვლავ ძლიერდება, შესაბამისად, არაფორმალური მმართველობის გავლენა და მასშტაბები იზრდება. პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციები თანამშრომლობენ კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლებთან და ამ თანამშრომლობის შედეგად ჩადენილ დანაშაულებზე საგამოძიებო ორგანოები არ რეაგირებენ. კრიმინალური სუბკულტურისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე პროკურატურა, როგორც წესი, არ იწყებს გამოძიებას, ხოლო, ფორმალურად დაწყების შემთხვევაში, გამოძიება არ არის ეფექტიანი. შესაბამისად, კრიტიკულად აუცილებელია, სახელმწიფოს ჰქონდეს მყარი პოლიტიკა პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან საბრძოლველად, რათა მიმდინარე სიტუაციამ არ გამოიწვიოს იგივე ან უფრო მასშტაბური დარღვევები, რომლებიც ცინცაბაძის საქმეში შენიშნა ევროპულმა სასამართლომ.

5.7 ამნისტიის/შეწყალების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულების დროს

72. ***ვაზაგაშვილისა და შანავას საქმეში***,[104] რომელიც, ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ნაწილია, სასამართლომ სინანულით აღნიშნა, რომ ეროვნულმა კანონმდებელმა, ამნისტიის შესახებ კანონის მიღებისას, სათანადო ყურადღება არ გაამახვილა პოლიციელების მიერ ჩადენილი სერიოზული გადაცდომის სრული სიმკაცრით დასჯის აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტი, რომ როდესაც სახელმწიფოს მოხელე, კერძოდ, სამართალდამცავი, მსჯავრდებულია დანაშაულში, რაც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს, ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული.[105] ასევე, აღსანიშნავია, რომ საქმეში, ***იზჩი თურქეთის წინააღმდეგ,*** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს წარმომადგენელი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში რომელიც კონვენციის მე-3 მუხლს არღვევს, სისხლის სამართლის გამოძიება არ შეიძლება იყოს ხანდაზმულობის ვადებით შეზღუდული. ამასთან, ამგვარ ქმედების ჩემდენების მიმართ შეწყალების ან ამნისტიის მექანიზმის გამოყენება დაუშვებელია.[106]

---

[104] *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)* no. 50375/07, 18.07.2019, § 92;

[105] იქვე., შდრ., მრავალ სხვას შორის, *ნინა კუცენკო უკრაინის წინააღმდეგ (Nina Kutsenko v. Ukraine),* no 25114/11, 18.07.2017, § 149; *იეთერი თურქეთის წინააღმდეგ (Yeter v. Turkey)* no. 33750/03, 13.01.2009, § 70, და *ალი და აიშე თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayşe Duran v. Turkey),* no. 42942/02, 08.04.2008, § 69;

[106] *იზჩი თურქეთის წინააღმდეგ (İzci v. Turkey),* 23/07/2013, no.42606/05, § 73;

73. ზოგადად, ამნისტია ან შეწყალება არის სახელმწიფოების ინსტრუმენტი, რათა დაამყარონ გარკვეული სახის მშვიდობა,[107] თუმცა, საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემა და საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფოებს მკაცრ ვალდებულებას აკისრებს, დასაჯონ და თავიდან აირიდონ დაუსჯელობა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევებისთვის.[108] საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დარღვევაზე ორიენტირებული „ადმინისტრაციული პრაქტიკისას" გამორიცხული იყოს ამნისტიის/შეწყალების განხორციელება.[109] ამრიგად, ამნისტია არ უნდა გახდეს დაუსჯელობის ფორმა და არ უნდა შეზღუდოს დემოკრატია ადამიანის უფლებათა დარღვევების პატიებისა და დაზარალებულთა მოლოდინების გაცრუების გზით.[110]

74. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის კონვენციის მე-4 (1) მუხლი მოითხოვს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისგან რომ „წამების ყველა აქტი მისი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით განიხილებოდეს, როგორც დანაშაულები".[111] წამების საწინააღმდეგო კომიტეტი განმარტავს, რომ წამების ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებზე ამნისტიის გამოყენება შეუთავსებელია კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ აღებულ ვალდებულებებთან. [112]

75. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ ამნისტიის განხორციელება იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისა და განზრახი მკვლელობის დანაშაულები ჩაიდინეს, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა, რადგან მსგავსი ქმედება დააბრკოლებს ამგვარ დანაშაულებზე წარმოებულ გამოძიებას და

---

107 C. Uribe, Do Amnesties Preclude Justice? 21 International Law, Revista Colombiana de Derecho Internacional, 2012, 358;

108 R. Slye, The legitimacy of Amnesties under International Law and General Principles of Anglo-American Law: Is a legitimate amnesty possible? 2002, 43 Va. J. Int'l L., 173 at pg. 179;

109 United Nations Economic and Social Council, Commission on Human Rights – Sub-commission on Prevention and Discrimination and Protection of Minorities, 39th Session, The Administration of Justice and the Human Rights of the Detainees, Question of Human Rights of Persons Subjected to Any Form of Detention or Imprisonment, Study on Amnesty Laws and Their Role in the Safeguard and Promotion of Human Rights, Preliminary Report of Mr. Luis Joinet, Special Rapporteur, 21.07.1985, ხელმისაწვდომია: http://hrlibrary.umn.edu/Amensty%20Laws_Joinet.pdf, [19.04.2021];

110 European Parliament, REPORT of the Committee on Foreign Affairs and Security on Human rights in the world and Community human rights policy for the years 1991-1992, Rapporteur: Mrs. Marlene LENZ, A3-0056/93/PART A, 18.02.1993, § 7, ხელმისაწვდომია: http://aei.pitt.edu/48122/1/A9421.pdf, [19.04.2021];

111 წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის კონვენცია, მუხლი 4 (1);

112 Committee against Torture - Concluding observations on the sixth periodic report of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland Adopted by the Committee at its sixty-sixth session (23 April-17 May 2019);

ამავდროულად, გამოიწვევს პასუხისმგებელ პირთა დაუსჯელობას.[113] ამგვარი შედეგი კი კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გარანტირებულ მიზანს შეასუსტებს და სიცოცხლის უფლებითა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვით შექმნილ დაცვის გარანტიებს ილუზორულად აქცევს.[114]

76. ევროპული სასამართლო სახელმწიფოებისგან მოელის, რომ უფრო მეტად მკაცრები იყვნენ, როდესაც სჯიან საკუთარ სამართალდამცავებს სიცოცხლისთვის საშიში ასეთი მძიმე დანაშაულებისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი დამნაშავეების მიმართ, რადგან ასეთ დროს საფრთხის ქვეშაა არა მხოლოდ დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, ებრძოლოს დაუსჯელობის განცდას, რომელიც დამნაშავეს, შეიძლება, ჰქონდეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი.[115]

77. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა კომიტეტმა საქმეზე, ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება დახუროს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის პროცესი, კომიტეტი კვლავ მოითხოვს სახელმწიფოსგან განახორციელოს ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში გასატარებელი ზომები. მინისტრთა კომიტეტმა სინანულით აღნიშნა, რომ შემდგომი ინდივიდუალური ზომების მიღება შეუძლებელია 2012 წელს მიღებული ამნისტიის კანონისა და დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ საბოლოო განაჩენებით უკვე მსჯავრდების გამო, რის საფუძველზეც მცირე სასჯელები დაეკისრათ მსჯავრდებულებს. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწვეტილება, აღნიშნული ხარვეზების გამო გააგრძელოს გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების ფარგლებში. ამგვარად, აღნიშნული საქმის დახურვა არ ახდენს გავლენას მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებაზე, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ საქმეზე ზოგადი ღონისძიებების გატარებას.[116]

---

[113]იგივე მიდგომა არის გაზიარებული CAT-ის მიერ, „The Committee has also continuously criticized amnesty laws and stressed that waivers of prosecution and statutes of limitations do not apply under any circumstance to the crime of torture." - CAT, 'Concluding Observations: Algeria' (2008) UN Doc CAT/ C/ DZA/ CO/ 3, para 11; CAT, 'Concluding Observations: Yugoslav Republic of Macedonia' (2015) UN Doc CAT/ C/ MKD/ CO/ 3, para 16; cited in: The United Nations Convention Against Torture and Its Optional Protocol, Commentary, Second Edition, by Nowak M., Birk M., Monina G.,Oxford University Press, 2019, 342;

[114]*მარგუსი ხორვატიის წინააღმდეგ (Margus v. Croatia),* no. 4455/10, 27.05.2014, § 127; *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom),* Series A no. 324, 27.09.1995, § 146;

[115] იქვე., იხ. ასევე, *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia),* no. 25091/07, 16.04.2011, § 274; და mutatis mutandis, *ნიკოლოვა და ველიჩკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Nikolova and Velichkova v. Bulgaria),* no. 7888/03, 20.12.2007, § 63;

[116] CM/Del/Dec(2020)1390/H46-10, 1390th meeting, 1-3 December 2020 (DH), *Tsintsabadze group v. Georgia* (Application No. 35403/06), ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2020)1390/H46-

78. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, ამნისტიის ან შეწყალების განხორციელება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს. იმავე მიდგომას იზიარებს ინტერ-ამერიკული სასამართლო,[117] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი,[118] გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია,[119] გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო[120] და ევროპული პარლამენტი.[121]

79. თუკი მიმოვიხილავთ ეროვნულ კანონმდებლობას, ვნახავთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია, არაფერს არ ამბობს ამნისტიის შესახებ.[122] კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი უბრალოდ ახდენს იმის დეკლარირებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალება არ საჭიროებს პრემიერმინისტრის ხელმოწერას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XV თავი აწესრიგებს ამნისტიასა და შეწყალებას,[123] თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს რაიმე დებულებას, რომელიც გამორიცხავდა სამართალდამცავთა მიერ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ჩადენილი სერიოზული დანაშაულების არსებობის შემთხვევაში ამ პირებზე ამნისტიისა ან შეწყალების გავრცელების შესაძლებლობას. ამნისტიას სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი, ხოლო, შეწყალებას, 78-ე მუხლი აწესრიგებს.

10E [19.04.2021]; Resolution CM/ResDH(2020)358, (Adopted by the Committee of Ministers on 3 December 2020 at the 1390th meeting of the Ministers' Deputies);

117 *ბარიოს ალთოსი პერუს წინააღმდეგ (Barrios Altos v. Peru judgment),* Series C No. 75 [2001], IACHR 5, 14.03.2001, § 41;

118 Human Rights Committee, General Comment No. 20, Article 7 (Prohibition of torture, or other cruel, inhuman or degrading treatment or punishment), HRI/GEN/1/Rev.9 (Vol. I), 10.03.1992, § 15, ხელმისაწვდომია: https://seafarersrights.org/legal_database/hrc-general-comment-no-20-1992-in-respect-of-article-7-ccpr/, [19.04.2021]; Human Rights Committee, General Comment No 31 [80], The Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, 26.05.2004, § 18, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/docid/478b26ae2.html, [19.04.2021];

119 UN Commission on Human Rights, Commission on Human Rights Resolution 2004/72: Impunity, E/CN.4/RES/2004/72, 21.04.2004, § 3, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/docid/43f313869.html, [19.04.2021];

120 United Nations Economic and Social Council, Commission on Human Rights – Sub-commission on Prevention and Discrimination and Protection of Minorities, 39th Session, The Administration of Justice and the Human Rights of the Detainees, Question of Human Rights of Persons Subjected to Any Form of Detention or Imprisonment, Study on Amnesty Laws and Their Role in the Safeguard and Promotion of Human Rights, Preliminary Report of Mr. Luis Joinet, Special Rapporteur, 21.07.1985, § § 60-76, ხელმისაწვდომია: http://hrlibrary.umn.edu/Amensty%20Laws_Joinet.pdf, [19.04.2021];

121 European Parliament, REPORT of the Committee on Foreign Affairs and Security on Human rights in the world and Community human rights policy for the years 1991-1992, Rapporteur: Mrs. Marlene LENZ, A3-0056/93/PART A, 18.02.1993, § 7, ხელმისაწვდომია: http://aei.pitt.edu/48122/1/A9421.pdf, [19.04.2021];

122 საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, [19.04.2021];

123 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=215, [19.04.2021];

80. დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის აქტი[124] იყო. კანონმდებელმა ამ აქტის ***თითოეულ მსჯავრდებულზე გავრცელების ნება გამოხატა***, თუმცა, ამნისტია არ შეეხო უვადო თავისუფლების აღკვეთის მქონე პირებს.[125] აღსანიშნავია, რომ, თუკი „ამნისტიის შესახებ" კანონის 1-15 მუხლების მოწესრიგებაში არ ექცევა შემთხვევა, დანიშნული სასჯელი ერთი მეოთხედით მცირდება ყველა პირთან მიმართებით,[126] განურჩევლად იმისა, დამნაშავე სახელმწიფოს წარმომადგენელია თუ არა.[127] განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს აღნიშნული კანონის საფუძველზე წამებაში მსჯავრდებულ პირთა მიმართ სასჯელების ¼-ით შემცირების პრაქტიკა.[128]

81. რაც შეეხება შეწყალებას, აღნიშნულის წესს საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება №556 აწესრიგებს,[129] თუმცა, მსჯავრდებულთა იმ წრეში, რომელთა მიმართაც შეწყალება არ გამოიყენება, ნახსენები არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულებისთვის მსჯავრდებაში მყოფი პირები. ამრიგად, კანონმდებლობაში არ არსებობს გარანტია, რომელიც გამორიცხავდა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულისას მისი შეწყალების შესაძლებლობას, შესაბამისად, არ არსებობს აკრძალვა მათი შეწყალების თაობაზე. პრაქტიკა მოწმობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხსენებული პირების შეწყალების შემთხვევები საქართველოს ისტორიაში ყოფილა.[130]

---

[124] საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ,
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0, [19.04.2021];

[125] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, 148, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view, [19.04.2021]

[126] მუხლი 16, საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ," ციტ ზემოთ;

[127] იხ. მაგალითად აკაკი ოჩიგავას მიმართ პატიმრობის პერიოდში განხორციელებული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საქმე (N400აპ-19), რომელ საქმეშიც პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი შვიდი პირის მიმართ უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული სამივე ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც ყველა მათგანი დამნაშავედ არის ცნობილი და შეფარდებული აქვს საპატიმრო სასჯელი, თუმცა მათზე „ამნისტიის შესახებ" კანონის მე-16 მუხლი გავრცელდა, და შეფარდებული სასჯელი ¼-ით შეუმცირდათ. აღნიშნული საქმე ამჟამად ევროპული სასამართლოს წინაშე განიხილება, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-158172, [19.04.2021];

[128] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013, 40,
ხელმისაწვდომია:
http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/monitoringis%20angarishi%20kartuli%20saboloo2.pdf, [19.04.2021];

[129] საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება №556,
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4712933?publication=0, [19.04.2021];

[130] იხ. მაგალითად ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე დამნაშავედ ცნობილი ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩანა ახალაიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი

82. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კანონმდებლობა ცხადად არეგულირებდეს ამნისტიის/შეწყალების გავრცელების აკრძალვას სახელმწიფოს წარმომადგენელ იმ პირებთან მიმართებით, ვინც ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები ჩაიდინა.

5.8. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებამოსილების შეზღუდვა

83. ევროპულმა სასამართლომ ვაზაგაშვილისა და შანავას საქმეში აღნიშნა, რომ პოლიციის იმ ოფიცრებისგან განსხვავებით, რომლებიც შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულებში იყვნენ მსჯავრდებულები, ორ პოლიციელს, რომლებსაც ზვიად ვაზაგაშვილის ავტომანქანის ორი მგზავრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობაში დაედოთ მსჯავრი, ეროვნული სასამართლოს მიერ არ ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. ეს მოცემულობა პოტენციურად შესაძლებელს ხდის, რომ როდესაც ორი ყოფილი პოლიციელი თავიანთ 12 წლიან სასჯელს მოიხდიან, შეძლებენ კვლავ დაუბრუნდნენ სამართალდამცავ სისტემას.[131]

84. სასამართლო მიუთითებს, რომ სრულიად შეუსაბამოა და საზოგადოებისთვის არასწორი გზავნილის მატარებელია თუ სერიოზულ დანაშაულში დამნაშავე პირები შეინარჩუნებენ მომავალში საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებამოსილებას.[132] აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხსენებული ორი პოლიციელის მიმართ გამოყენებული სასჯელი არ იყო ჩადენილი დანაშაულისთვის ადეკვატური.

85. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლი განსაზღვრავს ძირითად და დამატებით სასჯელებს. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა *ძირითად სასჯელად* ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის *დამატებით სასჯელად* დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი

უფროსის თენგიზ გუნავას შეწყალება. ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/ge/story/76638-prezidentma-saakashvilma-bacho-axalaia-sheitskala, [19.04.2021]; იხ. ასევე, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე, ციტ. ზემოთ, 35;

[131] *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia),* no. 50375/07, 18.07.2019, § 93;

[132] იქვე, იხ. ასევე, *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia),* no. 25091/07, 16.04.2011, § 274; *თურქმენი თურქეთის წინააღმდეგ (Türkmen v. Turkey),* no. 43124/98, 19.12.2006, § 53; *აბდულსამეტ იემანი თურქეთის წინააღმდეგ (Abdülsamet Yaman v. Turkey)*, no. 32446/96, 02.11.2004, § 55;

მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

86. სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები თვალისწინებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, როგორც ძირითად სასჯელს: 126, 130-134, 142, 143[1-3], 144[1], 144[3], 146-149, 152-161, 167, 169, 170, 173-175, 182, 190, 191, 193, 197, 202, 202[1], 203, 2016, 221, 240, 240[1], 241-243, 246-248, 267-270, 274, 276, 277, 279, 280, 283, 287, 289, 290-298, 301, 302, 305, 309, 313, 320, 321, 332-335, 337, 340, 349, 350, 352, 352[1], 355, 364, 368, 369[1], 381, 400, 405; ხოლო სხვა მუხლების შემთხვევაში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც დამატებითი სასჯელი. იმ დროსაც, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების შემთხვევაში, ძირითად სასჯელად შესაძლოა არ მოხდეს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება, აღნიშნული დამატებითი სასჯელის სახით დანიშნოს.

87. დღევანდელი მოწესრიგების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, რომელიც სავალდებულოს გახდიდა სახელმწიფოს წარმომადგენლების, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას დამატებითი სასჯელის სახედ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოების საუკეთესო მოწესრიგებას, ამის მაგალითად გამოდგება გერმანიისა[133] და ლიეტუვას[134] მოწესრიგება, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული თუ რა შემთხვევებშია საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების შეზღუდვას სავალდებულო წესით განსასაზღვრი სასჯელის ზომა.

6. რეკომენდაციები ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მიზნებისთვის

I. ***დროულად გატარდეს*** ყველა აუცილებელი ღონისძიება პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურის დონის შემცირებისა და არაფორმალური მმართველობის დაძლევის მიზნით, მათ

[133] გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი 1998, 2019 წლის ცვლილებების მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p0228, [19.04.2021]; კოდექსი ითვალისწინებს საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლების შეზღუდვას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეს. ნებისმიერი პირი, რომელსაც სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ განესაზღვრება სულ მცირე ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, კარგავს საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლებას, ასევე პასიურ საარჩევნო უფლებას 5 წლის ვადით;

[134] ლიეტუვას სისხლის სამართლის კოდექსი, 2000, 2017 წლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://www.legislationline.org/download/id/8272/file/Lithuania_CC_2000_am2017_en.pdf, [19.04.2021]; კოდექსის თანახმად, სასამართლომ პირს კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების ან კონკრეტულ საქმიანობაში ჩართვის უფლება უნდა ჩამოართვას იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დანაშაულს ჩაიდენს მისი სამსახურებრივი ან პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე.

შორის, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, შემუშავდეს შესაბამისი გეგმა და სტრატეგია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები. ასევე, უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციურ დაწესებულებებში ციხის თანამშრომელთა სათანადო რაოდენობით გაზრდა და მათთვის უწყვეტი განათლების მიწოდება მათი პროფესიული განვითარებისა და ცოდნის ამაღლებისთვის.

II. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც მკაცრად დარეგულირდება და სათანადოდ დასაბუთდება საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად ერთი ორგანოდან მეორე ორგანოსთვის საქმის გადაცემის საკითხი; ამავე ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, რომლითაც კონკრეტული უწყებების თანამშრომლის მიერ სავარაუდო ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრება დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო.

III. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* და გაფართოვდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი, რომლითაც მას შეეძლება გამოძიების დამოუკიდებლად წარმოება და, ასევე, მიენიჭება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.

IV. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* და გაფართოვდეს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილება, რომლის საფუძველზე მას მიეცემა შესაძლებლობა, გამოიძიოს, ასევე, მაღალი თანამდებობის პირთა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებიც.

V. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* და შეიქმნას სახელმწიფო ინსპექტორის მიერ საქმის მასალების გაცნობისა და საქმის გადმოცემის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმი.

VI. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის განისაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში დაუბრკოლებლად შესვლის უფლებამოსილება.

VII. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და პროკურორის ვალდებულებად განისაზღვროს დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესახებ ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებების დასაბუთება.

VIII. *განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება* და გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება მიენიჭოს ყველა დაზარალებულს, განურჩევლად დანაშაულის ტიპისა თუ სიმძიმისა.

IX. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც პროკურორის ვალდებულებად განისაზღვრება დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება.

X. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** და უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების გაწევა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლთათვის.

XI. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** და უზრუნველყოფილ იქნას კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების აღჭურვა შესაბამისი სამხრე-კამერებით, რომელთა გამოყენება სავალდებულო წესით განისაზღვრება მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს.

XII. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** და უზრუნველყოფილ იქნას პოლიციის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებისა და განყოფილებების ტექნიკური აღჭურვა პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მოქალაქეთა ყოფნის მთელი პერიოდის ვიდეოჩანაწერის საწარმოებლად.

XIII. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** და უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლისთვის პირის მიერ ჩვენების მიცემის პროცესის ვიდეო-აუდიო ჩაწერის განხორციელება.

XIV. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** და დაინერგოს პოლიციის დაწესებულებებში ინდივიდუალური ჟურნალების წარმოება, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული დაკავებულ პირთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა მოქმედება.

XV. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება*** სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N 123-ში, რომლითაც გაუქმდება საქართველოს სახალხო დამცველის და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წინასწარი შეტყობინების ვალდებულება.

XVI. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება***, რომელიც შემდგომში გამორიცხავს სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, კონვენციური განმარტებით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ სერიოზულ დანაშულებში პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის და შეწყალების გამოყენებას.

XVII. ***განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება,*** რომელიც *სავალდებულო წესით* განსაზღვრავს სახელმწიფოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან

გათანაბრებული პირის მიერ, დანაშაულის ჩადენისას, საჯარო თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, როგორც დასაკისრებელი სასჯელის ერთ-ერთ სახეს.